№ 273 დეკემბერი 25, კვირა — 1888 — დეკემბერი 25. კვირა № 273

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 29 დეკემბერს.

„ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

პარასკევს, იანვრის 6-ს 1889 წ.

ტფილისის კრუჟოკის დარბაზში

დანიშნულია

ბალი

ტფილისს სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ფასი ბილეთისა 2 მანეთი.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილ კაბებითაც მობრძანდნენ.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

(3—1)

ტფილისი, 24 დეკემბერი

მალე ორი ათასი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც ქრისტიანე კაცობრიობა მუდამ წელს, ერთსა და იმავე დღეს, დღესასწაულობს ქრისტე ღმერთის ქვეყნად მოვლენას, დაბადებას. იქნება ამდენის ხნის განმავლობაში ამ დღესასწაულის დედა-აზრს დროთა ვითარებისა გამო ხავსი მოეკიდა და ბევრს არც-კი ესმის დედა-აზრი ამ დღესასწაულისა, მაგრამ სულითა და გულით ქრისტიანე, რომელსაც ესმის და შეთვისებული აქვს ბუნება ქრისტეს მოძღვრებისა, ამ ბედნიერს დღეს სცდილობს ცხოვრების ხავსი მოიცილოს, თვალწინ დაიყენოს მაცხოვრის მოძღვრება, მით გაიადვილოს ეკლიანი გზა ცხოვრებისა და მხნეობა შეიმატოს ამ გზაზე სავლელად.

რას დღესასწაულობს ამ ბედნიერს დღეს სულითა და გულით ქრისტიანე, გამსჭვალული ქრისტეს მოძღვრებითა და ცხოვრების ტვირთით დაღალული და დაქანცული, და რას უღვიძებს სულსა და გულში ეს ბედნიერი დღე? ამ ბედნიერს დღეს თითოეული, ვისაც-კი სულსა და გულში ღრმად ჩასჭდევია წმინდა მოძღვრება ქრისტესი, იხსენიებს კაცობრიობის ცხოვრების ახალის ეპოქის დასაწყისს და უცხოველდება იმედი კაცობრიობის უკეთესის მერმისისა. დიაღ, ქრისტე ღმერთის ქვეყნად მოვლენა მოასწავებს ახალს ხანას კაცთა ცხოვრებისას. ყოველ გვარის უსამართლობითა და ძვარძლით დატანჯულს კაცობრიობას ქრისტემ შვება და სიხარული მიანიჭა და მისი მოძღვრება შეეჭიდა საუკუნეთა უსამართლობას და გულიდგან ლოდი ახადა კაცობრიობას. განუწყვეტელის ცრემლის დენითა და სისხლის ღვრით დაქანცულმა და ღონე-მიხდილმა კაცობრიობამ თავისუფლად ამოისუნთქა, გულში იმედი ჩაისახა და შეუდგა ახალს ცხოვრებას. ეს სიხარული, შვება და იმედი კაცობრიობას მიანიჭა ქრისტე ღმერთის მოძღვრების დედა-აზრმა, რომელიც უქადიდა ძმობასა და ერთობას. ამ დედა-აზრმა შელახა და შემუსრა ერთა დაუნდობლობა, ადამიანთა ერთმანეთის ჩაგვრა და წვალება და ამ სახით მორიგება და ძმობა უნდა ჩამოეგდო კაცთა შორის. ყველა ერი, დიდი და პატარა, ყველანი ქრისტეს მოძღვრებამ გაათანასწორა და უმოძღვრა, რომ ადამიანთა შორის სიყვარული ქვა-კუთხედია კაცთა ბედნიერებისაო. ქრისტე ღმერთმა გვიმოძღვრა, რომ, ერისა, წოდებისა და დიდ-პატარაობის განურჩევლად ყველანი თანასწორნი არიან, რომ ადამიანი, სადაც უნდა იყოს და ვინც უნდა იყოს, კაცად არის შობილი. ქრისტე ღმერთმა გვიმოძღვრა, რომ ამ წუთი-სოფლის სუფრაზე ყველას თავისი წილი აქვს და რომ ადამიანს, რა ტომისაც უნდა იყოს, ადამიანური არა ეუცხოება-რა. ერთის სიტყვით, ქრისტე ღმერთმა გვიანდერძა ერთმანეთის სიყვარული, კაცთა და ერთა ძმობა და თანასწორობა და გვასწავა, რომ ადამიანში ყოვლისა უწინარეს ადამიანს უნდა ვეძებდეთ.

ქრისტეს ქვეყნად მოვლენამდე დაწინაურებულნი ერნი, სახელგანთქმულნი განათლებითა და მოქალაქეობით, მეთაურნი და გამგებელნი ძველის კაცობრიობისა, ამ მოძღვრებას არ მისდევდნენ და ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმათის ზნეობრივის სისუსტისა. უგანათლებულესი ერი ბერძენთა ბარბაროსად აღიარებდა არა-ბერძენს და დაუნდობელის თვალით უყურებდა ყველას, ვინც მათის ტომისა არ იყო. უძლიერესი ერი რომაელთა მუსრს ადენდა ყველა უცხო ერს და უმთავრეს მცნებად ისა ჰქონდა აღიარებული, რომ ქვეყნიერობაზე მე უნდა ვბატონობდეო. ამ დროს, როცა სხვა-და-სხვა ერი ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებდა და ერთმანეთს ჰმუსრავდა, ქრისტე ღმერთმა ახალი სიტყვა უმოძღვრა კაცობრიობას და ამ სიტყვამ შესძრა მთელი ქვეყანა, გამოაფხიზლა ადამიანი და უჩვენა ახალი გზა და საძირკველი ცხოვრებისა. მაცხოვარმა უარ-ჰყო ძველი წესი და რიგი ცხოვრებისა

# ფელეტონი

## მოგონება

(საშობაო მოთხრობა)

საშობაოდ დათხოვნილი სწორედ 24 ქრისტიშობისთვეს მივედი შინ. გზაზე ძლიერ შემცივდა, ფეხები დამძრა, მაგრამ ის ფიქრი, რომ დედასა და მამას, ნათესავებს ვნახავ-მეთქი, მამხნევებდა და ბაიბუად არ გამაჩნდა. არაგვს რომ გამოვედით, გაღმა ნაპირიდამ იხვების გუნდი აფრინდა და ყიყინით გასწია თავ-ქვე.

— ოჰ, შენი ჭირიმე დედავ, რამოდენებია, წამოვიძახე განცვიფრებულმა. განა ისეთი მსხვილი იხვი, როგორიც არაგვმა იცის, სხვაგანაც არის?—ვკითხე ბერუას, რომელიც დურა-ტყავში გახვეული, ტყავის ქუდზე ყაბალახ-წაკრული, ცხენის ჩაკჩაკით მომდევდა უკან. ბერუამ იცოდა როგორს პასუხსაც მოველოდი იმისაგან და მიპასუხა:

— არაგვისთანა მსხვილი იხვი დედამიწის ზურგზედ სადღა შეიძლება იყოსო.

— კალმახი და ორაგული?

— მაგას ხომ თქმაც არ უნდაო.

თანდათან მივუახლოვდით ჩვენს სოფელს. აგერ ახუნი, აი სასეეთავი, აგერ „საძერიანი“. ახ, რამოდენა სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა დავინახე მიდამო ჩემის სოფლისა. უენოა ყველაფერი, რასაცა ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე გაბარდნულის თოვლით. აგერ ჩვენი საყდარი გამარტოებით გორაზე, დაღონებულად მარტოდ-მარტო გადმოსცქერია არაგვის ხეობას. აი იქედის კაკალიც, დამამშვენები მამულებისა, უზარმაზარი, გაბარჯღული. დავინახე ჩვენი სახლიც: სვეტად ბუხრიდამ მაღლა ადიოდა ბოლი. როგორ გაბარდნულა თოვლით ჩვენი წნორი. გული აღარ მითმენს, გავაჩქარე ცხენი... გორაზე ვიღაც პატარა გადმოდგა, გადმოგვხედა და სწრაფად მიბრუნდა შინისკე. ის ჩემი ძმა იყო, გვიცნო და გაექანა ჩვენებისთვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ. თვალებზე ცრემლი მოუვიდა: „შეგცივდებოდა, შვილო, ვაი შენს დედას!“ მკოცნა, ბევრი მკოცნა. მომეხვივნენ და ძმები და ცივ-ცივად გამიტაცეს სახლში, სადაც ჩემთვის, როგორც კეისარისათვის, ბუხრის წინ გაემართათ საბძანებელი. ბუხარი რცხილის კუნძებით იყო გამოტენილი და საამურად ღუღღუღებდა. მამაჩემის მეტი ყველანი ფეხზე იდგნენ და თავზე მევლებოდნენ. მამაჩემი ფეხზე არ ადგა, სტოლთან იჯდა, სათვალეები გაეკეთა, წინ ქაღალდი და ჩოთქი ედვა და რაღაცას ანგარიშობდა. მე მივედი, ხელზე ვემთხვიე, იმან ჯვარი გადამსახა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინო, სთქვა და შუბლში მაკოცა:

— ძალიან შეგცივდა? მითხრა მამამ ღიმილით: აბა რა მოგარბენინებდა და თბილად არ იჯექი; სოფელში საკვირველს რას ჰნახავ.

— არ შემცივდა - მეთქი, ვუთხარი ძლივ-ძლივობით, რადგან სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრული, ან-კი რა მათქმევინებდა შემცივდა მეთქი.

— ბავშვს შესცივნია, თბილად ჩააცვითო, უთხრა მამამ დედაჩემს, რომელიც უკვე მხდიდა ფეხებს. მომიტანა თავის ხელით დაქსოვილი წინდები, ახალი ახალუხი ჩემთვის დამზადებული, მომახვია მამას თულუფი და ასე გამოებრწყინდი ბუხრის წინ. მამამ ისევ თავისი საქმე განაგრძო. დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას. წაიძრო იმან ხელიდამ ხელ-თათმანები (საფუხრები) და შორიდამ ჯერ გადმოეწოდა ცეცხლს, მერმე მოუჩოჩდა ისიც ბუხარს და მიუშვირა გული და ხელები. ბერუამ გააჭირდიდა ჩვენი მგზავრობა, თითქოს ამერიკაში ყოფილიყო და არა ტ—ში. ბერუას რასაკვირველია, აზრად ისა ჰქონდა, რომ მეტის პატივის ცემით მოჰპყრობოდნენ ჩემი მშობლები, რადგან იმდენი შრომა და ჯაფა გამოიარა ჩემის გულისთვის.

— დავიხოცენით, გავსწყდით, მამაო მღვდელო, —სთქვა ბერუამ წარბების აჭიმვით:—ეგლახი გზაა გასატიებელი, წელამდე თოვლი ვკვალეთ. გავსილა ზვავებით გზები. მე ისე ჩემი თავი არ მაჯავრებდა, როგორც ეს ბალღი.

— წუხელ ვისთან იდექითო? ჰკითხა მამაჩემმა ბერუას.

— მამიდასთან მოვიყვანე, ცას დაეწია საწყალი. აღარ იცოდა რა ექნა და როგორ დაგვხვედროდა. ჯერ ხომ სულ ფეხზე ჰყუდავ და წუხელ სუ ფეხზე იტრიალა. თბილად დაგვაწვინა, მაგრამ მე კიდევ ჩემი ნაბადიც დავხურე ლევანს, არ შესცივდესო.

— ძალიან ღარიბად ხომ არ არის თინათინი? იკითხა მამაჩემმა, რომელმაც ეხლა ძლივს დაანება თავი ანგარიშს და კრიალოსანს მიჰმართა.

— თავისად კარგადაად ყოფილან, ბალღიც მოსწრობია. ძალიან ცოცხალი ბალღია. წუხელის აღარ დაგვაძინა, გვიამბო ზღაპრები, არაკები. დილასაც გვიან-ღა წამოვედით, ადრე არ გამოგვიშვეს. „ენაცვალოს მამიდაიაო, —უთხრის თინათინმა ლევანს:—ადრევ მიხვალთ შინაო; წელში ერთხელ ანა გნახავთ, ან არაო; ჩემი ძმა ერთხელ იმას არ იტყვის, მივიდე გავიგო ან ავი, ან კარგი ჩემის დისაო. თქვენი თავი ხო დამანატრაო“.

ბერუა ბევრს რასმე იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს პურის საჭმელად არ დაეძახა.

ეხლა ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად. როდის-ღა ვიგრძნობ იმ გვარს სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერს სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შესრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე... იადაგ უნდა მესიამოვნა. ჯერ ერთი გადავრჩი ბერძნულის მასწავლებელს, ამ დაობებულს, დახავსებულს ბურაკს; ჯერ ქართული ანბანა არ ვიცოდით და იმან-კი მოგვიყვა ბერძნულს ენას. ნეტავი თითონ მაინც სცოდნოდა თავის საგანი, ისიც მაშინ სწავლობდა. შავ-შავი, ხმელი კაცი დაგვადგებოდა თავზე და „გვაზუბრინებდა“: „ალფა, ბეტა, ღამა, დელტა“. ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს სამარიდამ მკვდარმა ამოიძახაო. მთელი ერთი თვე გვაზეპირებინებდა ერთს ბერძნულს ფრაზას და ღმერთმა იცის ნამდვილად ისრეა ბერძნულად, თუ სხვა ნაირად იგი ფრაზა; დადგებოდა, ჯერ თითონ დაიწყებდა და მერე ჩვენ გაგვამეორებინებდა ხოლმე: „დიკის დიკინ ტიკ-ტიკიტინ, კე, ბლავის ბლავინ ბლავიო“, ვითომ სიმართლე ჰბადებს სიმართლეს და უსამართლობა უსამართლობასაო. მეორე მასწავლებელს რაღა დამავიწყებდა. ამას დავითი ერქვა სახელად და გვარად ეკალაძე იყო. თავის დანიშნულებას იმაში ჰხედავდა ის კაცი, რომ რაც შეიძლებოდა შევეშინებინეთ...

ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალები დაესისხლებოდა, მოავლებდა შეგირდს თმაში ხელს და გაისვრიდა საითაც მოხვდებოდა. ერთი მუჭა ბალანი ხელში უნდა დარჩომოდა და მერე შებერვით აქეთ-იქით გააბნევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზგი მაშინ ახალად გადავარდნილი იყო დავით ეკალაძის სავალალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეკალაძე ამოქმედებდა მაინც როზგს, შენახული ჰქონდა სახლში და საჭიროების დროს მოიკითხავდა. „თქვე მ—ლებო, იქნება იმას ჰფიქრობთ როზგი გადავარდაო, ვერ მოკართვესთ?! აბა ერთი წამოაქციეთ“, ეტყოდა ჩურჩულით გულ-დამშეული უფროს შეგირდებს, რომელნიც სწრაფად გაჰბაწრავდნენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს და წამოაქცევდნენ. „აბა ერთი რიგიანად მოახვედრეთ მაგას ორმოციოდე როზგი“. ბევრსა ჰყვიროდა საწყალი ბავშვი: ვაი დედავ, მოგიკვდიო, მაგრამ ამაოდ. არწივი ეკალაძე დასძახებდა: „მოკვდი, მოკვდი, მოკვდი, ს—სინ! მაგრა დაკათ, მაგრა მაგ, მ—ს“. ვაი იმ შეგირდ-ჯალათის ბრალი, რომელიც გულ-ჩვილობას გამოიჩენდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით, ახლა იმას გაამაგვრინებდა იატაკზე.

მე ბუხარში ვიჯექი და იქიდამ ვუცქეროდი ამ საშინელებას. დიაღ, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შეგირდისათვის, და ერთ თავად ნაცარში ამოგანგლული დავდიოდი. რა ღმერთი გამიწყრებოდა, დამეშავებინა რამე ამ სურათების მნახველს. ეკალაძეს ბრაზი მოუვიდოდა ხოლმე,

და ამითი საძირკველიდაუდო ახალს ეპოქას.

აი, სწორედ ამიტომ დღესასწაულობს ჭეშმარიტი ქრისტიანე მაცხოვრის ქვეყნად მოვლენას და ქრისტეს ცხოველი მოძღვრება იმედს უღვიძებს, რომ ერთა და ადამიანთა შორის ძმობა და ერთობა სამუდამოდ დამყარდება, მოისპობა ცრემლისა და სისხლის ღვრა, აღმოიფხვრება დაუნდობლობა და ქვეყანას მოეფინება შუქი სიმართლისა და ღვთაებრივის მოძღვრებისა. აი, ეს არის იმისი მიზეზი, რომ დღეს წმინდა სასოებითა და წმინდა გულით ვეგებებით ქრისტეს შობის დღესასწაულს და გვიძლიერდება იმედი უკეთესის მერმისისა.

ა. ნა—ლი

# ახალი ამბავი

*** „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ მოუვიდა გორიდამ ბ-ნ გიორგი საძაგლიშვილის მიერ შემოწირული ძველი ფული, რიცხვით თორმეტი. ამ ფულში სამი-ოთხი თამარ მეფისა და დავით სოსლანის დროისაა.

*** ერთი კვირაა, რაც ძმათა წერეთელთ გაუმართავთ ქუთაისში ახალი ქართული წიგნის მაღაზია. ამავე ფირმითა აქვსთ წერეთლებს გამართული ქართულის წიგნის მაღაზია ხონშიაც.

*** დაიბეჭდა ცალკე წიგნად ბ-ნ ან. ფურცელაძის ისტორიული მოთხრობა „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“. ეს მოთხრობა ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად დაბეჭდილი ორ ფელეტონად. ფასი წიგნისა ორი შაურია.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ დირექტორს ტფილისის სამუსიკო საზოგადოებისას ბ-ნს ივანოვს ნოტებზედ გადააქვს ქართული საეკკლესიო გალობა კარბელაანთ კილოსი. ეს საქმე დღეს ასეთს მდგომარეობაშია: ბ-ნს ივანოვს უკვე გადაულია 200 ნომრამდე საგალობელი, სახელდობრ წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილ დიდისა და გრიგოლ ორ-მეტყველისა, წესი ნათლისა, ქორწინებისა და მიცვალებულისა, მთელის წლის გადიდებანი და სხვანი. დარჩა კიდევ გადასაღები 862 ტროპარ-კონდაკი, კატავასია ღვთის-მშობლისა და საკისკრო სძლის-პირნი, თორმეტი საუფლოსი და რვა ხმა რომელი ქერუბიმთასი.

*** ქართლიდამ მოგვდის ამბავი, რომ ზოგან მეტად დიდი თოვლი მოვიდა და გზები შეჰკრაო; ერთის სოფლიდამ მეორე სოფლამდე არ მიისვლება, ისეთი ნამქრები და ხლარცვებიაო. ქართლის ქალაქს გორსაც ძალიან გასჭირებია დიდის თოვლების გამო, სოფლებიდამ მისავალი გზები შეკრულა და ძალიან დაძვირებულა სანოვაგე და მეტადრე შეშა. უშეშობა და საზამთროდ მოუწყობელი სახლები სიცივითა ჰხოცავს გორელებსაო.

*** **ბათუმის ქართულის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის მდივანი,** ბ-ნი დ. კლდიაშვილი, გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: „დეკემბრის 17-ს ბათუმის ქართულის სკოლის სასარგებლოდ რუსულმა საოპერეტო ბათუმელმა დასმა ჩვენის სკოლის სამზრუნველოს თაოსნობით გამართა წარმოდგენა.

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ბილეთის ფული შემოვიდა | 643 | 75 |
| კერძოდ შემოიწირა სხვადასხვა კაცთაგან . . | 132 | „ |
| სულ შემოვიდა | 775 | 75 |
| მიეცა საოპერეტო დასს წარმოდგენისათვის . . | 300 | „ |
| წვრილად ნახარჯი . . . | 39 | 50 |
| სულ დაიხარჯა | 339 | 50 |
| წმინდა შემოსავალი დარჩა | 436 | 25. |

სკოლის სამზრუნველო კომიტეტი ვალად რაცხს მიუძღვნას თვისი მადლობა ბათუმის საზოგადოებას და ბ-ნ სტეპანოვ-გორსკის დასს, რომელთაც ესეთი თანაგრძნობა აღმოუჩინეს სკოლას.

სკოლას შემოსწირეს: ი. ა. ფანსმიტმა—25 მან., დ. ფ. ხარაზოვმა—15 მ., ბ-ნმა ხოჯამიროვმა—8 მ., ბ-ნმა ალამჯანოვმა—6 მ., გრ. ნ. შადინოვმა—6 მ., ა. პ. ეაკიემ—5 მ., პეშეკეროვმა—5 მ. ბ-ნმა კოირემ—5 მ. ბ-ნმა კურტ-ოღლიმ—5 მ., ბ-ნმა მონგომ—3 მ., ბ-ნმა მელქონიანცმა—4 მ., ბ-ნმა მნაცაკანოვმა—4 მ., ბ-ნმა კარაბეგოვმა—3 მ., ბ-ნმა ბოლდანოვმა—2 მ., ა. ი. ვანშეიდმა—2 მ., ბ-ნმა დიმშამ—2 მ. და კიდევ წვრილად შემოსწირეს—30 მ., სულ—132 მ.

*** **თელავი:** 20 ამ თთვისას ჩვენმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „დედა და შვილი“, „ბიძიასთან გამოხუმრება“ და „სცენები სუდიასთან“ ბ-ნის სოსლანისა. შვილის როლს ასრულებდა ბ-ნი ი. ზურაბოვი და, უნდა მოგახსენოთ, რომ რიგიანადაც შეასრულა ეს როლი. სიმღერა სცენის გარედ კარგად ვერ მოხერხდა მომღერალთა ნაკლებობის გამო. «ბიძიასთან გამოხუმრებაში» მაყურებლების ყურადღება მიიპყრო სანდრომ (ალ. ვახვახოვი). ამ სცენის მოყვარეს ნიჭი ეტყობა და ჩვენი პროვინციალური სცენის დამამშვენებელი შეიქმნება, თუ შრომას არ დაიზარებს. ხინჩლა (ალ. ბარნოვი) მოიწონა საზოგადოებამ. ბ-ნ დ. სოსლანის სცენებში ტიტულიარნი სოვეტნიცა ელენე ტურაძისა (ქ. ანდრონიკოვისა) მართლა მშვენიერი იყო. მსახურის („ბიძიასთან გამოხუმრებაში“) და ყაზაზოვის („სცენებში სუდიასთან“) როლს ასრულებდა ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე. საზოგადოდ წარმოდგენა ხეირიანი იყო და მოთამაშენი მადლობის ღირსნი არიან, რომ შრომა არ დაიზარეს ამისთანა საყურადღებო საქმისათვის. დარბაზი თითქმის სულ სავსე იყო ხალხით. წარმოდგენა იყო გამართული მ. წინამძღვრიშვილის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ.

# სახელდახელო

(სამოწყალო ფაბრიკა ბ-ნის ჩითახოვისა)

მესმის, რამდენად ძნელია რეპორტერისათვის, რომ თითოეული სიტყვა აჰკრიბოს, რაც-კი რამ ითქმის რომელსამე საზოგადო კრებაზე. რომ კიდეც მოახერხოს და არც ერთი სიტყვა, არც ერთი კილო არ გამოეპაროს კრების ნალაპარაკევისა, მაშინ მთელი გაზეთი ვერც-კი დაიტევდა საზოგადოების აზრის აღებ-მიცემობას. ასეთი სიძნელე კარგა მესმის, მაგრამ ჩემის აზრით მაინც არ ეპატიება ჩვენს რეპორტერს, რომ ასე გაკვრით მოიხსენია ბ-ნ ჩითახოვის თხოვნა და მის გამო ატეხილი ბაასი ხუთშაბათის საბჭოს კრებაზე. ჩვენი ცხოვრება ძალიან ერთ-ფეროვანია და ამიტომ ორის ხელით უნდა დავეჭიდებოდეთ ხოლმე, როცა-კი პატარა მარილიანს რასმე წავაწყდებით. მეც იმ კრებაზე გახლდით და ნებას ვაძლევ ჩემს თავს შევავსო ის ნაკლი, რაც რეპორტერს მოსვლია თავისს ანგარიშში.

აი, ბატონებო, საქმე როგორ იყო.

საბჭომ მოისმინა ვედრება და ღაღადი გამგეობისა იმის შესახებ, რომ ქალაქი ღარიბ-ღატაკია და ამისთანა გარემოებაში მოწყალების მიწოდება მარტო საგანგებო უბედურებაში თუ შეგვიძლიან, ისიც ძალიან მცირედ, თორემ სულ ზედ შევაწყდებით და შევეგლებით, სულ ძირს გავუთხრით ჩვენს კასსასა და მერე საკუთარს საჭიროებასაც ველარ გავუძლევებითო. ასეთი ხელ-მოკლეობა დაგვატყდა თავსა და ჩვენ-კი უხვად გავცემდით მოწყალებას, მერე იმისთანა მოქალაქეზე, როგორებიც არიან ტფილისის მექარხნე-მეფაბრიკეებიო, ე. ი. სულ ისეთი ხალხი, რომელსაც მთავრობა დიდს შეღავათს აძლევს და თითონაც კარგა მოღონიერებულ-მოტიკული ჯიბეები აქვსთო. რისთვის უნდა ვაპატიოთ ამ ხალხს წელიწადში ოთხასი თუმანი, როდესაც ოთხასი მანათიც ჩვენთვის დიდს ფულს შეადგენსო.

ყველა ხმოსანს ჭკუაში დაუჯდა ეს ვედრება და ღაღადი, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საკმარისია ქალაქისთვის მაგოდენი მოწყალება და ღლეის იქით მექარხნეებმაც უნდა იხადონ გადასახადი, როგორც დანარჩენ მოქალაქეებმაო.

გათავდა თუ არა ეს საგანი, გამოსთქვეს თუ არა ყველამ თავისი თანხმობა, წაიკითხეს ბ-ნის ჩითახოვის საკვირველი თხოვნა, მაშინვე უკულმა გადმოტრიალდნენ არა ერთი და ორი ხმოსანი და სრულებით სხვა ხმაზე მოჰყვნენ გალობას.

ბ-ნის ჩითახოვის თხოვნა სწორეთ სამაგალითო რამ იყო, როგორც ნიმუში ცრემლიანის ხვეწნა-ვედრებისა. თხოვნა ჯერ შეჰბღავლიდა ხმოსანთა საზოგადოებას, რომ შეუმცირონ მირზოევისეულ ფაბრიკის დასაფასებელი ხარჯი. ჩემის აზრით, ეს ბღავ[ი]ლი ისეთი ძრიელი იყო და ისე დამა[ჯ]ლ...

---

რომ საბუთს არაფერს ვაძლევდი გაროზგვისას, მომიშარებდა რასმე და დამკივლებდა: «მ—ის სულს აგიტირებ, ფშაველო!» გამისომდა ბჟლალს ქოჩორზე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა ბჟლალიო, და გადისვრიდა ბურტყულებს დაბლა. გაკვეთილების გათავების შემდეგ, რომ ჭკვიანი კაცი გამოჩენილიყო და ჩვენს კლასში მოსულიყო, ერთის ჯამბარის საკმაო ბურტყულს აჰკრეფავდა. ამ ვაი-ვაგლახის მნახველსა და გამოვლილს ჩემს საკუთარს ჭერს ქვეშ ყოფნა მშვიდობიანად, რა თქმა უნდა, დიდად მეფასებოდა და დიდს სიამოვნებას მიღვიძებდა გულში, თუნდ სულ არაფერი ეჭმიათ და არაფერი ესმიათ ჩემთვის. მაგრამ ამ მხრითაც ბედნიერი ვიყავი ჩემს სახლში, მანამ სახლის პატრონთან. სახლის პატრონი იმისათვის ჰპატრონობდა სახლს და იყვანდა შეგირდებს, რომ ფული მოეგო. ამიტომ ზაფხულობით ჭრიანტლით (ტყემლის წვენი) დაგვჭრა კბილები და ზამთარში მახოხით. როცა მამა ჩამოვიდოდა, სახლის პატრონიც შესცვლიდა თავისს პოლიტიკას, მშვენიერს სადილს გამართავდა, უ-„გენაცვალე“-ოდ სიტყვას არ მეტყოდა, მილაქუცებდა, რა არის არ დამებღზა მამაჩემთან და ლუკმა არ დამეკარგვია. მეც მეგონა, იქნება ამას იქით სულ ესე კარგად მომექცეს-მეთქი და ვიყავი ამ ვაებაში ცალკე შინ, ცალკე სკოლაში. გულმა აღარ მომითმინა, ვერ შევსძელი მეტი ჯდომა, თუმცა დედა ჩემთვის საუზმეს ამზადებდა, ავსდევ და მოვეუარე, სადაც რამე საცუცნარი მეგულებოდა. ვნახე ჩემი კვიცი, რომელსაც ამ ოთხს თთვეში ბევრი მოემატნა. ვითომ უნდა დამეურვა ჩემს ჭკუაში, მაგრამ ხელის მიხლება იუკადრისა და კამპი გამკრა მხარზედ ამოვაღებინე სკივრიდამ ჩემი ხანჯალი, რომელსაც ჟანგი მოჰკიდებოდა, და გავწმინდე, გავაკაშკაშე. მოვიკითხე ჩემი მამალი—კუბლირი. მე რომ თავი დავანებე, მაშინ ჩიორა იყო, ძლივ-ძლივობით, რის წვითა და დაგვით ყელ ის ძაფები უნდა დაეგლიჯა, მანამ ხრინწიანის ხმით „ყიყლიყოვო“ დაიძახებდა. ეხლა-კი თამამად, ამაყად დედლებში დასეირნობდა და ბოხის ხმით, ისეთის ბოხის ხმით, რომ პროტო-დიაკვნებსაც-კი დაენატრებოდათ იმისი ბასი, გასძახოდა მუდმივს, ერთ ფეროვანს თავისს საგალობელს. დედაჩემს დავენახე, რომ თავ-მოწონებით დავსცქეროდი კუბლირს, და მითხრა თურმე ხუმრობით, მე-კი მართალი მეგონა:

— ხვალ, შვილო, კუბლირი უნდა წამოვყინჭროთ, ვერაფერი მამალიაო.

— დიაღ, როგორა არა-მეთქი,— ვსთქვი მე გულ-გადმოტრიალებულმა და გული დავიმშვიდე, რაკი დედაჩემს ხუმრობა შევატყე. ჩქარა ჩემს მეგობრებს ბესას და ვასილსაც შეეტყოთ ჩემი მოსვლა და მოვიდნენ ჩემს სანახავად. მე დარბაისლად ვიჭერდი იმათთან თავს, როგორც „განათლებული“ კაცი, ვიმაგრებდი თავს, თითქოს აღარც-კი ვიცინოდი და შუბლს ვიჭმუხნიდი. თითო-ოროლა რუსულს სიტყვას წამოვისროდი, რა არი მეჩვენებინა იმათთვის, რომ რუსული ვიცი-მეთქი. თან მოტანილი მქონდა: ერთი ტყვიის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი... სოფლელი ბიჭები ამეებს განცვიფრებით სინჯავდნენ და მე-კი თავი მომწონდა, როგორც დიდის საკვირველების მექონეს. დიაღ, ვჭკვიანობდი და «ვსურიოზნობდი», მაგრამ ჩემი ძალად-ჭკვიანობა, როგორც ჩემს თავს ვატყობდი, ერთს დღეზე მეტს ვერ გასტანდა. მეორე დღეს უნდა გამეტია აღმე თუ დაღმე, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ამასობაში კიდეც დაღამდა. ჩაიზე დავსხედით, ჩემი მეგობარი ბესა და ვასილაც მივიპატიჟე. ჩვენმა მურამ ვილასაც ყეფა დაუწყო, მაგრამ მალე ხმა გაკმინდა.

— სად ვინა ხართ, ოჯახიშვილებო?! მოისმა გარედგან რიხიანი ხმა. ეს ხმა ბიძა-ჩემის ხმასა ჰგვანდა, მაშინვე ვიცანი.

— ვინ არი? მოდი, ბიჭო, შინა, ვინა ხარ?! დაუძახა მამა-ჩემმა.

— ვინ არი?! ცოფიანი მგელია, არ ისტუმრებთ?—და შემოეყუდა კარებში ბიძა-ჩემი და თან ჩულიანი თოფი შემოიყოლა: — სალამო მშვიდობისათო,—სთქვა ბიძა-ჩემა და მოიხედა ჩემსკე:—ეს ვინღა მოგვსვლია? ჩვენი ქამალაღუელი! ოჰ, ცნაცვალოს ბიძა შვილსა! ამიყვანა ხელში და მაკოცა. ქამალაღუელი ფშაურის გმირის სახელია და დაცინვით იმის სახელს ბიძაჩემი მე მეძახდა. შემდეგ მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა:—შენ, ჯერ ძმაო და მერმე მამაო, თუ ღმერთმა მღვდლობის გონება მოგცა, მე იმისა მამცა!—დაჰკრა ხელი თოფსა:—ვენაცვალე ამის მადლსა; სადაც მე და ესა ვართ, იქ ღმერთი ლუკმას არ დაგვიკარგავს. ამით მაინც არ გარცხვენ, ძმაო! უთხრა მამაჩემს ნინიამ თავ-მოწონებით.

— რა ვიცი, უთხრა მამაჩემმა, შენ და შენი თოფი სულ მუდამ გამარჯვებულები ხართ, რამოდენა ნადირსა ჰლუპავ და ერთხელ ნანადირევის ხორცი ვერ მაჭამე.

— ხვალამდე მომითმინე, ღმერთი და ბედი, იმედი მაქვს გავხდე რასმეო,—სთქვა ბიძაჩემმა:—გუშინ საფუიქრის გორში ექვსის შვლის ნავალს შევხედი. დავსდიე იმ დღეს, მაგრამ აბა, სათოფედ არ მიმიშვეს. ამინდია ტიალი ცუდი: ფეხი ჩქამობს, კაცის ფეხის ხმა ერთის დღის სავალზე ისმის. მანამ ასავალთ-გორის ხევში გადამივიდოდნენ, გორის პირში მოვკარ თვალი, მიუსხლიტე ერთი, აიარა საფალიამ, მაგრამ არ გამივარდა თოფი, გამასწრეს ოხრებმა, ასრივე წვრილთ-გორისაკენ წამამივიდნენ, მანდ სადგომები აქვ, ხვალ დაუხელავენი არ მომრჩებიან. თუ დილისათვის თოვლი გადიღო და ღმერთმა ბძანა, ძალიან კაი ამინდი იქნება ნადირობისა.

— ამ კვირია მაშ ვერაფერი ინადირე? განაგრძო მამაჩემმა.

— ერთი მელა ძლივ-ძლივობით დავიჭირეო, სთქვა ბიძაჩემმა. ოთხი დღე ზედი-ზედ ხაფანგი მეგო; დაჩვეულა მყვანდა, მაგრამ აბა, არ იქნა, ვერ გავაბი, ის ოხერი. მოვიდოდა, ხაფანგს შემოუვლიდა გარშემო და არ ახლებდა პურს პირს. ხაფანგის გარშემო-კი სულ დაქსელილი იყო. მანამ ხაფანგს კარგა სქლად თოვლი არ წავაყარე, უფრო ყაპყმა (ფიფქი) მიშველა; ყაპყი აღარ აუცხოვებს კაცის ნახელარს თოვლსა და მაშინ ადვილად მივენდობა მელა.

ბიძაჩემი ნინია განთქმული მონადირე იყო და იმისი მოსვლა ერთიათად მიმატებდა სახარულს: ბევრს რასმე მიამბობდა ნადირობისას. ბიძაჩემმა იმ ღამეს აღარ დაისვენა, წამდა-უწუმ გაიხედავდა გარეთ, უნდოდა შეეტყო, გადიღო თოვლი, თუ არაო.

დედაჩემი ვახშმის მზადებას შეუდგა. ამაღამ, რაც კი ოჯახში სამარხო რამ მოიპოვებოდა, ყველასი უნდა საჭმელად გაკეთებულიყო რამ, ჩვეულებისამებრ „მარხვის გასასტუმრებლად“. მე-კი ბიძაჩემს მივუჯექი, ვსთხოვე, რომ თავისი მონადირეობის ამბები ეამბნა ჩემთვის. მართლაც იმდენი რამ მიამბო ნადირობაზე, რომ ასი თაბახი ცოტაა იმის ჩასაწერად. მამაჩემი ცალკე ოთახში გავიდა სალოცავად. ბიძაჩემმა, სხვათა შორის, ერთის დათვის ამბავი მიამბო.

— კაბლის ტყეში, შვილო,—დაიწყო იმან რიხიანად:—ერთი ირემი მოვკალ; გავატყავე, ავკუწე ნაჭრებად, მივაფარე ზედ ტყავი და უფეთქე წამალი, რო ნადირი არ მიჰკარებოდა. თავ-რქა კისერზე გავიდევ და გამოვწიე ბინისაკენ. ლაწი-ლუწი, ფშნატა-ფშნუტი მომესმა. შევხედე, ერთი უბრალო, უზარმაზარი დათვი შემდგარა ჩემს კვალზე და კვალ-და-კვალ მომდევდა, ნება-ნება მოჯოჯავდა. რამდენი დათვი მომიკლავს და ჩემს დღეში იმოდენა დათვი არ შემხვედრია, სწორედ ქოხსა ჰგვანდა ის დაწყევლილი. მივუბრუნდი და ჭკვიანად ვუთხარი: დამანებე თავი, შენ შენი ღმერთი, მე რომ არაფერს გერჩი, შენ რა გინდა ჩემგნითა, და წამოვედი ისევ ჩემს გზაზე. მივიხედე კიდევ, ისევ მომდევს ეს დათვი, არ მეშვება, მაიქნევს საზარელს თავ-ყურს. მე კიდევ ჭკვიანად ვუთხარი: ვაჟო, დათვო, თავი დამანებე, წერას ნუ აუგდიხარ; წადი, შე რჯულ-ძაღლო, დაილუპე, რას გადამესიე!? აბა, შენც არ მამიკვდე, ყურიც არ შაიბერტყა. გამოვიარე კიდევ კარგა მანძილი, რა მომაშორებინებს იმისათვის თვალსა: მივიხედე, ისევ თავისებურად მააბოტებს. დასწყევლოს ღმერთმა, კაცი არ ვეგონე, როგორ იყო იმისი საქმე?! როგორ იყო იმისი ფიქრი? ხან ვიფიქრე, იქნება ეშმაკი იყოს. დავიკივლე რაც ძალი და ღონე მქონდა: დამეხსენ, ჩამამეხსენ-მეთქი! რომ ვერაფერი

ბოზელი გრძნობისა, რომ ქვაც-კი გასკდებოდა იმის ცოდვით. თუ ჩვენი ხმოსნები მართლა გულ-ქვავები იქნებოდნენ და ასეთი თხოვნა ვერ გასჭრიდა, ამ შემთხვევისთვის ბ-ნი ჩითახოვი მუქარასაც არ დაჰრიდებოდა. ეს მუქარა უფრო ძრიელი და საგულისხმიეროა, ვიდრე იმისი თხოვნა.

აი რითი იმუქრებოდა ბ-ნი ჩითახოვი: თუ მაგ დასაფასებელს ხარჯს ერთი-ათად არ შეამცირებთ, მეტი ღონე აღარ დამრჩენია, უნდა დავკეტო ფაბრიკა და ოთხას-ხუთასი მუშა ხალხი ულუკმა-პუროდ დარჩება და ნუ თუ ამოდენა ხალხის მშიერ-მწყურვალედ მინებება ქალაქისათვის ზარალი არ იქნებაო? დიდს შემოსავალს რომ მაძლევდეს ფაბრიკა, ჯანი გავარდნოდა, ვიკისრებდი ხარჯსა, ოღონდ მაგოდენა მუშა ხალხი უსაქმოდ არ დარჩენილიყო.

ამ თხოვნა-მუქარის წაკითხვამ სულ ერთიან გადაავიწყა ზოგიერთს ხმოსნებს ის გადაწყვეტილება, რომლის ძალით მექარხნეებს, სხვა მოქალაქეებთან ერთად, უნდა გადაჰხდეთ დასაფასებელი ხარჯი და რომელიც თითონვე დაადგინეს რამდენისამე წუთის წინ.

რამდენი ცრემლი ჰღვარეს თუ ბ-ნმა ქოჩორიანცმა და თუ ბ-ნმა როტინოვმა! სწორედ გაგვიკვირდა ასეთი გულ-კეთილობა ამ ორის ექიმისა. მართლაც-და, ნუ თუ შესაბრალისი არ არის ბ-ნი ჩითახოვი, რომ ფაბრიკა უღირს ოც-და-ათი ათასი თუმანი და კიდევ ხარჯს აწერენ ბარე ასს თუმანზე მეტს! აბა რა ჰქმნას საწყალმა მექარხნემ, შემოსავალი იანგარიშოს, თუ ხარჯი!.. განა ამისთანა გაჭირებაში უნდა ჩააგდოს ქალაქის საბჭომ თავისივე მოქალაქე!.. ღმერთს პასუხს აღარ გასცემენ!..

საბჭომ უმტყუნა თავისს მოწყალეობით ვარსკვლავს და არ შეიწყნარა არც თხოვნა სალდავის ბანკირისა და არც იმისი მუქარა. თუ მთელი მაგოდენა ქარხანა შეუშინდება რაღაც ასს თუმანსა და შეაყენებს თავისს წარმოებას, იმას ვერც ხარჯის პატიება წამოაყენებს ფეხზეო.

წადით თქვენა და სამართალი ეძიეთ ქვეყანაზე!..

თელდოსიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ჯევათის მაზრა.** წრევანდელი წელიწადი ვერაფერი იყო ჯევათის მაზრისათვის. ჯერ იყო და გაზაფხულზედ მდ. მტკვარმა კინაღამ წალეკა აქაურობა. ნაპირებიდგან გადმოვარდნილი წყალი მოედვა მტკვრის ნაპირა სოფლებს და ლამობდა იმათს წალეკვას. ამას მოჰყვა პურის მოუსავლობა. მთელს მაზრაში, რომელიც განთქმულია თავისის უხვის მოსავლით, ნახევარს არ მოსვლია წლის სამყოფი სარჩო. მოუსავლობას როგორც იქნებოდა გაუძლებდა ხალხი, იოლად გამოვიდოდა, ჯან-სადი ადამიანი ყველგან იშოვნის ლუკმა პურს, მაგრამ რა ქნას ავადმყოფმა, ძალ-ღონე მიხდილმა კაცმა. პურის მაგიერ წელს კიტრისა და ნესვის კარგი მოსავალი იყო. კიტრისა და ნესვის სიუხვემ და იაფობამ დაბადა ციებ-ცხელება, რომელიც გადამდებ სენსავით მოედო მთელს მაზრას. პირველად იგი მძვინვარებდა კასპის ზღვის ნაპირად, ესრედ წოდებულ „ზიუდოსტ-კულტუკში“, სადაც სცხოვრებენ ზღვის მეთევზეები, და ბლომა ხალხიც იმსხვერპლა. მათი ღარიბი, სისუფთავეს მოკლებული ცხოვრება, ადგილის სინესტე და სხვ. ხელს უწყობდა ავადმყოფობას. აგვისტოს უკანასკნელსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში სენი მეტის-მეტად მძვინვარებდა. დღე არ გავიდოდა, რომ ერთი ან ორი მიცვალებული არა ყოფილიყო. სენი მით უფრო არა სცხრებოდა, რომ იმის წინააღმდეგ არავითარს საშუალებას არა ჰხმარობდნენ. არსად ფერშალი, არსად ექიმი, არსად წამალი და აბა რაღა დააცხრობდა თავგასულს ციებ-ცხელებას. მართალია, ორჯელ ბრძანდებოდნენ, მაზრის ექიმები, მაგრამ ორის მობძანებით რას უშველიდნენ საქმეს. შემდეგ თთვეებში, ე. ი. ენკენისთთვეს, ღვინობისთთვეს და გიორგობისთთვეში უფრო მძვინვარებდა დ. სალიანსა და ბოჟა-პრომისლოში და მთლად მაზრაში მთელი სამი თთვე მუსრი გაავლო მცხოვრებლებს. დ. სალიანში მთელ-მთელ ოჯახობით სწყდებოდა ხალხი, ან კიდევ მთელი ოჯახი ლოგინად იყო ჩავარდნილი, წყლისა და პურის მომტანი არავინა ჰყავდათ. მოსლემინთა სამღვდელოება ვეღარ ასწრებდა მიცვალებულთა წესის აღსრულებას. სალიანში გიორგობისთთვეში დღეში ათამდე კაცი კვდებოდა. ხალხმა დაჰკარგა ყოველივე იმედი. როგორც ყოველს გაჭირებაში იციან, სალიანელებმა მიჰმართეს უზენაესს. გიორგობისთთვის ნახევარში ყველა მეჩითებში გადიხადეს პარაკლისი შახ-გუსეინის სახელობაზედ, შემდეგ შეიკრიბნენ ერთად და ერთობლივ მრავალის ხალხის თანადასწრებით შემოუარეს ირგვლივ სალიანს, რომლის შემდეგაც დაჰკლეს სამღვთოდ ათიოდე ცხვარი. ესეც სულ ამაოდ, სენი თავისას მაინც არ იშლიდა. ვერც ადგილობრივი მოსამსახურენი გადურჩნენ ამ სენს, ამათაც გაჰკრა კლანჭი. თუ სალიანში, სადაც ასე თუ ისე მოიძებნება საშუალება ციებ-ცხელების საბრძოლველად, აფთიაქი, დროებითი საავადმყოფო და ექიმი, ასე მძვინვარებდა ციება, მაშ რა ყოფაში უნდა ყოფილიყო სოფლის ხალხი! ერთო ავადმყოფობას მიაქცია მთავრობამ ყურადღება. 5-ს ამ თთვისას ბაქოდგან მობრძანდა გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების უფროსის თანაშემწე ექიმი, რომელმაც შეჰკრიბა საჭირო ცნობა გარდაცვალებულთა რაოდენობაზე და აგრეთვე ციების თვისებაზე სალიანში, ბოჟა-პრომისლსა და კულტუკში. იმედია, რომ მთავრობა რაიმე ღონის-ძიებას იხმარს ამ სენის მოსასპობლად. ამბობენ, არას დროს არა ყოფილა ასე გახშირებული ავადმყოფობაო. ზოგიერთები თევზის მრეწველთა დაუდევრობას აბრალებენ. იქნება ასეც იყოს, ვინ იცის.

ვერაფერი ზამთარი დაგვიდგა, საშინლად ცივა; გუშინ და გუშინწინ თოვდა. თოვლი ძალიან იშვიათად იცის ხოლმე აქეთ; შარშან თვალითაც არ გვინახავს, წელს-კი ბლომად დახლო თოვლი; თან თოვდა და თან ჰქროდა ზღვის ქარი. ამიტომ ზოგან სულ არ ეტყობა, ზოგან-კი დიდი ნამქერი დევს. ღამე ძალიან ჰყინავს. თუ ასეთი ყინვები დაიჭირა, შეიძლება მტკვარი გაჰყინოს. ამისთანა ყინვა-სიცივეში ცეცხლია ერთად-ერთი ნუგეში, მაგრამ ამ ცეცხლის მხარეში ნამდვილი ცეცხლი ძლიერ ძვირია უშეშობის გამო. ლენქორანიდგან ეზიდებიან ხოლმე შეშას და ამიტომ ძვირიც არის. იმედია, რომ ამ ცხარე ზამთარმა მოსპოს ციებ-ცხელება და დაამშვიდოს ხალხი.

## წვრილი ამბები

ნამდვილის წყაროდგან იცნობებიან, რომ გლადსტონის წინაპართა პოვნა მე-17 საუკუნეს უწინ ძნელიაო. 1681 წელს გლადსტონები მეწვრილმანეები ყოფილან ჯავიკს, როკსბურგის საგრაფოში. პაპა ახლანდელის გლადსტონისა, ტომას გლადსტონი, გადასახლდა ლეიდში და პურით ვაჭრობა დაიწყო. მისი შვილი ჯონი ლივერპულში დასახლებულა და ვესტ-ინდოეთთან ვაჭრობით დიდ-ძალი ქონება შეუძენია. 1846 წელს ამ ვაჭარსათვის მიუნიჭებიათ ბარონეტობა.

— ჩინურს ენას ასწავლის ბერლინის აღმოსავლეთის ენათა სემინარიაში, პროფესორ არენდტს გარდა, კიდევ ერთი ჩინელი, რომელმაც გერმანულს ენაზედ არც ერთი სიტყვა არ იცის. ეს მასწავლებელი შემდეგს საშუალებას ჰხმარობს, თურმე, რომ ანბანი ასწავლოს თავის შეგირდებს: დაფაზე სწერს იგი რომელსამე ჩინურს ასოს და შემდეგ ასახელებს კიდეც. რაკი შეგირდი ანბანს ისწავლის, შემდეგ სიტყვების მნიშვნელობას პროფესორი არენდტი ასწავლის. ეს მეთოდა ისეთი კარგი გამომდგარა, რომ სემინარიის მოწაფეთ ერთის წლის შემდეგ საყველ-ბურო ლაპარაკი შეუძლიათ თურმე ჩინურს ენაზე.

— დღეებში დაარსებიათ მედიატორთა სასამართლო იმ მოურიგებლობის და უსიამოვნების გასარჩევად, რომელიც ხშირად მოსდის ხოლმე სახლის-პატრონთა და მდგმურთა შორის. მედიატორებად ირჩევენ წარჩინებულნი და მოკამათენი. ამ გვარად უნდათ ისე მოახერხონ, რომ უბრალო მოდავეთა და მოკამათეთ სასამართლოში აღარ მოუხდეთ ხოლმე წასვლა და ტყუილ-უბრალოდ ფულის ხარჯვა. მედიატორთა სასამართლოში საქმე ხმის უმეტესობით ბოლოვდება. განზრახვა აქვთ, რომ ამ გვარივე სასამართლო დააარსონ ბერლინშიაც.

— ემილ ზოლას განზრახვა აქვს, რომ პარიჟის „Téatre Libre“-ში წარმოს-

---

გავაგონე, ცოტა გზა კიდევ გამოვიარე, მივეფარე ერთს კაი დიდს ჭანდარს, მოვიგდებინე ბარგი, მოვსალთავე და მივუშვირე თოფი. დათვი მოდის. კარგა ახლოს რო მოვიდა, ნიშანი შიგ ნიკორს შუბლში მივეც და მაუსვი ფეხს ხელი. თოფმა არ მიმტყუნა, შიგ შუბლში სძგერებიყო ტყვია და წამლის ბოლი რომ გამეცალა, ვნახე წამოჩაჩხული დათვი იდვა ჩემს წინ და კიდევ გამოსდიოდა ნატყვიარში ბოლი. ეგ გინდოდა და იშოვნე კიდეცა-მეთქი, დავეძგერე მე გალაღებულმა.

ბიძა ჩემის გამარჯვებამ მეც გამალაღა. ბიძაჩემისათვის დათვთან შეხვედრის ბოლო საშიში მეგონა და გამიხარდა, რომ ბიძაჩემი დარჩა გამარჯვებული.

— ნეტა, ძიავ, მეც შენისთანა მონადირე ვიყო-მეთქი, — ვუთხარი ბიძაჩემს.

— ჰა, ჰა, ჰააა, — ჩაიცინა ბიძაჩემმა მწარედ: — შენ უფრო კაი მონადირე ხარ, თუ ჰკუას მოიხმარებ, შვილო. სწავლას ეხლანდელს დროში აღარაფერი შაედრება. მე ცოდვის მეტი არაფერი მამცა ნადირობამ. რამოდენა ნადირსა ვღუპავ, მაგრამ სულ ტყუილად მიდის, იმისა მე ხელში არაფერი მრჩება.

ნადირობა მე პირველ სასახელო საქმედ მიმაჩნდა და გამიკვირდა ბიძა ჩემის სიტყვა. დიაღ, გამიკვირდა, დამეწუნა, თუმცა-კი პირში არ მითქვამს ჩემი აზრი და არ ავხირებივარ. მამა ჩემსაც გაეთავა ლოცვა და შემოვიდა ჩვენთან.

— ეგ არი, — სთქვა ღიმილით მამა ჩემმა: — რაკი ბიძა-ძმისწული ერთად შეიყარენით, თქვენს ნადირობის საუბარს დასასრული აღარ ექნება. საკვირველია, რომ ჯიში არ გასწირავს კაცსა: საწყალი მამა ჩემი ოთხმოც-და-ათის წლის კაცი იყო და მაშინადვე ლაპარაკს ნადირობაზე ჩამოგიგდებდა, აქ თოფი ვესროლე და მთაბარი დაინგრა იმის ხმისაგან, იქ მოვკალი, აქ კიდევ დაჭრილი წამივიდაო...

— ჯიშისაა ყველაფერი, მაშ, მაშ, — დაამტკიცა ბიძა ჩემმა.

ჩქარა ვახშამიც მოიტანეს და ყველანი, გარდა მამა ჩემისა, შემოუსხედით სუფრას. ვახშამი მხიარულად გავატარეთ; ბიძა ჩემი ბევრი ელაპარაკე ნადირობაზე. მარხვაც „გავისტუმრეთ“. სამნი, მე, მამა ჩემი და ბიძა ჩემი, ერთს ოთახში დავწექით დასაძინებლად. იმ ღამეს ნინიას არა სძინებია ორი საათი, ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა და ხან ფანჯრიდამ, ხანაც კარებიდამ ათვალიერებდა გარეთ გადილო თოვლმა, თუ არაო. მეც არ მეძინა და ვფიქრობდი იმაზე, ხვალ როგორ გამეტარებინა დროება, ან ბიძა ჩემის ნადირობა როგორ ჩაივლიდა. სწორედ შუაღამე იქნებოდა, ბიძაჩემი ერთხელ კიდევ ადგა, გაიხედა კარებში და წაიბუტბუტა: «ძლივს არ გადაიღო, ამ სატიალემაო!» მობრუნდა შინ, ჩამოიღო თოფი, სასწრაფო და საფირისწამლე. ჭრაქი აანთო, ბუხარში ცეცხლი აასინათა და დაუწყო თოფს წმენდა შიგნით და გარეთ; ჩახმახს ტალი გამოარიდა და საშლით დაუპირა; ჩანთიდამ ამოიღო პატარა თითბრის ყალიბი და პატარავე ტყვიის სადნობი ტაფა და დაუწყო ტყვიას ცეცხლზედ დნობა. რამდენიმე ტყვია ჩამოასხა და ახლა სასწრაფოს მიჰმართა, ამოაძრო სასწრაფოდამ მასრები, ჰსინჯავდა წამალი იყო, თუ არა შიგა, გადაწყგადმოწყო რქის საწყაოთი, რომელიც სასწრაფოზე ზედ იყო დაკიდებული.

რაკი ტყვიას დაუწყო დნობა და სანადირო მასალას მზადება, მეც გულმა ველარ მომითმინა, წამოვხტი ქვეშაგებიდამ, მივუჯექი ბიძაჩემს ახლო და დაფაცურებული ვადევნებდი თვალს იმის მოქმედებას. როდესაც ბიძაჩემმა ჩამოასხა, რამდენიც ტყვია უნდოდა, აწყო წამალი მასრებში და თითოეულს ძონძში გამოხვეული ტყვია დაუფინა, ახლა ბანდულებს მიჰმართა, დაპოხა, გაბლანდა, სადაც გაბანდვა აკლდა; წრიაპის თასმებიც დაპოხა. ტყვიის სადნობს ტაფაში სხვა ტყვიის ნაჭლეტებთან ერთად ნინიამ ერთი ტყვია ჩააგდო, რომელსაც სისხლი ჯერ ისევ ეცხო და ამ ტყვიას უნდა ერთი თხუთმეტამდე ტყვია მოენათლა, გაეზიარებინა, გაენაწილებინა მათთვისაც თავისი იღბალი. როცა ეს სისხლიანი ტყვია ჩააგდო ბიძაჩემმა ტაფაში, ქუდი მოიხადა, გვერდზე დაიდო და სთქვა: „ღმერთო და ჩვენო ლაშარის ჯვარო, რა იღბლისაც ეს ტყვია არი, სხვანიც ამის იღბლისანი იქმნენო“.

— ეგ რაღა ბედვნა ტყვიაა, ძიავ? ვკითხე ბიძაჩემს.

— ეს ტყვია, შვილო, იღბლიანი ტყვიაა; ირემი მოვკალ მაგ ტყვიით; შიგ დამდგარიყო და იმას ამოვარიდე. ყველაფერი გაამზადა ბიძაჩემმა და ეხლა ყალიონი გააჩაღა და იდაყვზე დაბჯენილი წამოწვა ქვეშაგებში. მეც დავწექი. ნაფხიზლარს მაგრა ჩამძინებოდა. ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ ჩვენებს ვერავის ვერ გაეგო იმისი წასვლა.

დილით მე ყველაზე გვიან ავდეგ... ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი, რომ დედაჩემი მომჯდომოდა გვერდით, მეტოლებოდა, მკოცნიდა ჩუმ-ჩუმად. უცებ თვალები გავახილე.

— გაიღვიძე, გენაცვალოს დედა, შვილო, ყველანი საყდარში წავიდნენ, შენ დარჩი მარტოკა შინა. დედაჩემიც ჩემს გამო არ წასულიყო წირვაზე. მეც ზმორვით ავდექი, ძლივძლივობით ავატანე ძილსა, პირი დავიბანე, თმა კოხტად გადავივარცხნე, ახალი ტანისამოსი ჩავიცვი, „კარტუზი“ დავიხურე ჩემდა სასახელოდ. კარტუზიანი ერთი მარტოკა მე ვიყავი სოფელში, ამითი დიდად მომქონდა თავი და, სწორედ მამალივით თავმოწონებულმა, გავწიე საყდრისაკე. ჯერ საყდარში არ მისულიყავი, შუაგზაზე ვიყავ, რომ გაღმა, გუთანაურთახში, თოფი გავარდა. ცოტა ხანი გამოვიდა და მეორე მიჰყვა. მე გულში ნათელი ჩამიდგა: უსათუოდ მოკლა ბიძაჩემმა ნადირი-მეთქი, ვიფიქრე. წირვის გამოსვლას არ დაველოდე, ჩემდა სამარცხვინოდ, გამოვიპარე, მინდოდა გამეგო რა ქნა ბიძაჩემმა, მოკლა რამ, თუ არა. შორიდამვე დავინახე ბიძაჩემი, იგი დერეფანში იდგა, პირში ჩიბუხი ეჭირა, ქუდი გვერდზე მოექცია და რაღასაც ელაპარაკებოდა ბერუას. თოფი ბოძზე ჩამოეკიდა, სასწრაფო და საპირისწამლე-კი ისევ გულზედა ჰქონდა. მივედი და დავინახე, რომ რქიანი შველი ეგდო ბიძაჩემის წინ. საბრალოს ლამაზი, მაგრამ დახოცილი თვალები ნახევარზე მიეხუჭა და ენა გადმოეგდო გვერდზე. მაინც კიდევ ლამაზი იყო ეს თავისუფლების შვილი.

— საწყალი! — ვსთქვი მე და თვალებში სიბრალულისაგან ცრემლები მომივიდა.

— ჰო, მეც ეგრე ვიცი, შვილო, სთქვა ბიძაჩემმა: როცა მოვკლავ; მაგრამ მანამ მოვკლავ-კი, თვალდაფეთებული დავალ, გულს ვიმჯიღავ და ვამბობ: როდის იქნება ზედ შემომვარდეს, თვალი დავკრა ნადირსათ. პური არ ვიცი და წყალი... ვნახავ და რამდენს ტანჯვასა ვგრძნობ თუ მოუკლავი წამივიდა; ულიშვებ თოფსა და მაშინაც ტანში მათრთოლებს, ვაი თუ ჩახმახის დასხლეტა ვეღარ მოვასწრო და მიეფაროს სადმეო. მოვკლავ და ვამბობ: რად მოვკალი, რას მიშავებდა, რა შამისვა, რა შამიჭამა?! კაცნი შაუბრალებელნი ვართ.

ბიძაჩემმა შველი ცალის ფეხით ჩამოჰკიდა და ორივემ, იმან და ბერუამ, ტყავება დაუწყეს, ერთმა ერთის ფერხიდამ, მეორემ — მეორიდამ. ნახევარზე ჩამოატყავეს, რომ ამ დროს მამაჩემიც გამოჩნდა: ჯოხს მოიბჯენდა, უკან დიაკვანი მოსდევდა, რომელსაც საცეცხლური და ხელსახოცში გამოკრული ჟამნ-დავითნი ეჭირა, და სულ უკან ტარასტა მოჩანჩალებდა, მხარზე ტაბლებით სავსე ხურჯინ გადაკიდებული. რამდენიმე სხვა სოფლის დარბაისელი კაცი დაეპატიჟა მამას სადილად. შველი რომ დაინახა მამაჩემმა, ძლიერ გაეხარდა და ბიძაჩემ ნინიას გამარჯვება მიულოცა; თითონაც ანაფორა გაიძრო და თავს დასტრიალებდა ნანადირევს. ჯიბიდამ ამოიღო კალმის დანა, თითონ ააჭრა სუკები, ცალკე თეფშზე დააწყო და დააბასტურმა.. დიდხანს არ გაუვლია, რომ სუფრას ვუსხედით გვერდზე და ბუხარში შველის მწვადები შიშინებდა... ჩემი ნათესავები ქალები და ძალუებიც მოვიდნენ ჩემს სანახავად „მოსაკითხით“ — ნამცხვრითა და ხილეულით... ბედნიერი დღე იყო ის დღე ჩემს სიცოცხლეში და ისე ვერ მოვიგონებ, ერთხელ მაინც არ ამოვიოხრო!..

ვაჟა-ფშაველა

დუგანინის თავისი ახალი დრამა „La Madeleine“.

— პარიჟში კიდევ ახალი მოდა შემოუღიათ: ქალები ატარებენ თურმე პაწია საათებს სამაჯურებზე, გულის ქინძისთავებზე, თმაში და ფეხთ-საცმელებზედაც-კი.

— ოკალანდში (ს.-ფრანცისკოს შტატს) ცხოვრებს თურმე ერთი ვიღაც ახირებული კაცი, გვარად ჩერჩი, მდიდარი და შეძლებული კაცი. ეს კაცი არტისტ-ქალებისათვის შეშლილია თურმე და ამ ჟამად მეოთხე არტისტ-ქალზეა ჯვარ-დაწერილი. პირველს სამს განქორწინებია და ეხლა ჭსურს თურმე, რომ მეოთხესაც განქორწინოს. ამ განქორწინებათა მიზეზი ის არის, რომ ჩერჩი მეტად ქიშიანი კაცია და მოურიგებელი თურმე. ამავე მიზეზით ხშირად თვის მიერ შეუვარებული არტისტი-ქალები მიტოვებენ ხოლმე და თავს ანებებენ. ამის მიუხედავად ამ ახირებულს კაცს მაინც ჭსურს თურმე, რომ მეხუთედ კიდევ არტისტი-ქალი შეირთოს.

## გასართობი

მონადირის ნაამბობმა რამდენიმე ტყუილი მომაგონა და ბარემ ესეც მოხსენდეს მკითხველს.

ბებიის ჩემის დედა ალა-მამად-ხანის მეორედ საქართველოში მოსვლისა და მოკვლის ამბავზე იტყოდა: გორში ხმა გავარდა, ყეენი კიდევ მოდისო. ხალხი შეშინებული ელოდებოდა, რა მოხდებაო. ჩემი დედ-მამანი დაწვნენ, არ მეძინებოდა, მთელი ღამე შიშით არ დამიძინია, ვჩოჩე და ვლოცულობდი. უეცრად ცხენოსანმა ვიღაცამ ჩამოიარა ჩვენკენ, გაგვიხედე ფანჯრიდამ, თეთრ ცხენზე იჯდა, და დაიძახა: ყეენი მოჰკლესო. მაშინათვე გახარებული ვეცი დედ-მამას და გავაღვიძე. შეეშინდათ, გოგო ჭკუაზე შეიშალაო. მე ვიცინოდი და ვარწმუნებდი. არ დაიჯერეს, სანამ მეორე დღეს სხვებმაც არა სთქვეს, ჩვენც გავიგონეთო. თურმე ასეა ქვეყანაზე, დიდი ამბავი რო მოხდება, იმ წამსვე თეთრი ცხენოსანი ჩამოუვლის და ყველას აცნობებს. ზვერი ეძებეს გორში და ვეღარ იპოვეს. რამდენისამე დღის უკან ტფილისიდამ გორში მგზავრები მოვიდნენ და ამბავი მოიტანეს ალა-მამად-ხანის მოკვლისა. თურმე სწორეთ იმ საათსა და იმ დროს მოეკლათ, გორში რომ თეთრს ცხენოსანს დაეძახნა.

—

მისგანვე: ბიძაჩემს ენახა ერთი კაცი, ისეთი მაღალი იყოვო, რომ დარბაზის დედა-ბოძის სიმაღლე იქნებოდაო. რო მოკვდა, იმისი ტყაპუჭი შვილებმა დაშალეს და სამი ტყაპუჭი შეიკერესო.

—

მისგანვე: მდინარე წყალზე ყინულს პირი შეეკრა და ზედ ხალხი დადიოდა. ერთმა ნაბდიანმა კაცმა გამოიარა, ჩაუტყდა ყინული და კაცი ნაბდიანად ჩასძირა. წლის თავზე ისევ ნაბდიანად წყლიდამ ამოვიდა.

—

ალა-მამად-ხანის მოსვლის დროს 1795 წელს და ქალაქის აოხრებისას ერთი ბეზირგნიშვილი სოლომონ უსუსური ყმაწვილი ტყვედ ჩავარდა. ვაჟკაცი შეიქნა, რომ დაიხსნეს და დაბრუნდა ქალაქში. სპარსეთის საკვირველებას ბევრს იტყოდა, თვალით ნახულსა: ერთხელ ერთ მინდორზე მივდიოდიო, გზაზე უნდა გადავსულიყავი, მაგრამ რაღაც კედელი ვნახეო. ჩავყევ ამ კედელს, ეგება ბოლო ვუნახოვო. საღამომდის ვიარე და ძლივს ბოლო დავუნახე. თურმე მკვდარი გველი ყოფილიყო და მე კედელი მეგონა.

ერთიც კიდევ საკვირველება ვნახე. ერთხელ მინდორზე მივდიოდი. ვნახოთ ერთი წყალი მოდის, მოწითანო ფერისა, ორი-სამის ნაბიჯის სიგანე იქნებოდა. ძალიან მწყუროდა, დავეწაფე, დავლიე, ტკბილი იყო. რა უნდა იყოს, სათავეს ვუნახავ-მეთქი. ავყევ აღმა ამ წყაროს, ვიარე, ვიარე და ბოლოს სათავეში მივედი. ვნახე საიდამაც გამოდიოდა. თურმე საზამთრო ყოფილიყო, გვერდი გახეთქოდა, წვენი გამოსდენოდა და წყაროდ მოდიოდა. ვუარე გარსა და როგორც იყო ზედ ავედი. ნახეთქი ზემოთაცა ჰქონდა. ჩავიხედე, ვნახო რა ამბავია-მეთქი, ქუდ ჩამივარდა. ჩავედი, დავუწყე ძებნა. ერთი კაცი შემომეყარა, ვკითხე, ქუდი ჩამომივარდა და რომ არ გინახავს-მეთქი? რას ამბობ, კაცო, მთელი დღეა ამ საზამთროში დავდივარ ხარ-კამბეჩიანათ ურემი ჩამომივარდა, დავეძებ, ვერ მიპოვნია და ქუდი რა სახსენებელიაო!

ქალაქელმა ამაზე უთხრა: შენ ხომ საზამთრო სთქვი, პაპაჩემი ასეთს ნესვს იტყოდა, რომ ნახევარს ნესვში მთელი ქალაქი ეტეოდა თავის ჯარით-ჯამაათით, სახლებითა და საყდრებით. ქუჩები ჩამოუდიოდა, ზედ წისქვილები ბრუნავდა და ნახევარიც კიდევ საძოვრადა ჰქონდათო.

ეს ნესვი და საზამთრო ხომ ყოფილა და ყოფილა, სპარსეთში კიდევ კიტრი სცოდნია ისეთი გრძელი, რომ ისპაანში ამოვა და სტამბოლამდის მიდის. ერთხელ ხვანთქარს რომ ამბავი მიუვიდა, სტამბოლიდამ აიყარა და გადასახლდა, არ დამეჯახოსო.

სტამბოლელმა ამაზე სთქვა: თქვენ ხომ დიდებს ამბობთ, მე სხვას გეტყვითო. სტუმრად ვიყავი სტამბოლში ერთთან. ლოგინზე რაღაცამ გაიჩუჩუნა, გავოცდი, ეს რა ვნახემეთქი. მასპინძელმა მითხრა, ძაღლიაო. ასეთი პატარა იყო, რომ წაბლის ნაჭუჭში დაეტეოდა.

ქალაქელმა უთხრა: დასაჯერებელიაო, თუკი ადამიანი ნიგვზის ნაჭუჭში დაეტევა, ძაღლის დატევა წაბლის ნაჭუჭში რა საკვირველი იქნებაო. სტამბოლელმა ჰკითხა, როგორაო? და ქალაქელმა უპასუხა: ჩვენში არ გაგიგონია, კაცს რო დალოცავენ, ეტყვიან: ასე დაგაბეროს, რომ ნიგვზის ნაჭუჭში დაეტიოვო.

## დეპეშა

23 დეკემბერი

**ტამბოვი.** ბოროტ-მოქმედებათა საქმე ტამბოვის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობისა დანიშნულია გასარჩევად ტამბოვის ოლქის სასამართლოში ნაფიცთა მსაჯულთა მონაწილეობით 30 იანვარს. სამოქალაქო ვექილად საზოგადოების მხრით იქნება ბ-ნი პლევაკო.

**ბელგრადი.** დიდის სკუპშჩინის დაშლის შემდეგ მეფე მილანმა გამოუცხადა შეწყალება და პატიება ყველას, ვისაც სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი ბეჭდვის კანონთა დარღვევისათვის და ან ვინც სამართალშია მიცემული საპოლიტიკო დანაშაულისა და უწესოებისათვის არჩევანების დროს.

პეტერბურგის ბირჟა, 23 დეკემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 60 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 150 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 273½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 246 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

**25 დღე კვირა.** შობა იესო ქრისტესი ბეთლემსა შინა ავგუსტი კესარის დროს, 5508 წ. ქვეყნის შექმნიდგან. კათოლ. შობა ქრისტესი. სომეხ. ისნაკაცი. ნახატონაქი. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-4 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—45. მთვარე 5 დღისაა.

**26 დღე ორშაბათი.** კრება ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობლისა. ღირსისა იოსებისა, დავით მეფისა და იაკობისა. კათოლ. პირველ-მოწ. დიაკ. სტეფანესი. სომეხ. პირ.-მოწ. სტეფანესი. მაჰმად. მე-5 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—30, ჩადის 4—44. მთვარე 6 დღისაა.

**27 დღე სამშაბათი.** პირ. მოწ. სტეფანესი და თევდორესი. კათოლ. წმ. მოც. პეტრესი და პავლესი. სომეხ. ისნაკაცი. მაჰმად. მე-6 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—30. ჩადის 4—46. მთვარე 7 დღისაა.

**28 დღე ოთხშაბათი.** წამებულთა ორთა ბევრთა ნიკომიდიელთა. კათოლ. ყრმათა ნაწამებთა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-7 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—48. მთვარე 8 დღისაა.

**29 დღე ხუთშაბათი.** 14,000 ყრმათა, ჰეროდისაგან მოწყვეტილთა ბეთლემს. კათოლ. წმ. თომასი. სომეხ. ალების-ლამე შობის მარხვისა. მაჰმად. მე-8 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—49. მთვარე 9 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

## განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის სამართველოში და ჩარკვიანის მაღაზიაში

დავით ასლანიშვილი

**ჯანდიერი**

(მოსისხლე შაჰ-აბაზისა),

ისტორიული მოთხრობა

ანტ. ფურცელაძისა.

(1—1) ფასი ორი შაური.


რადგანაც ქალაქში ძლიერი სიცივეებია, ამიტომ 22-ს დეკემბრისას, ტფილისის საქალაქო საბჭომ დაადგინა გადასდოს ქალაქის ღარიბთ მცხოვრებთა სასარგებლოდ ათასი მანეთი ფული და გამართოს ხელის—მოწერა შეწირულებათა შესაკრებად იმავე კეთილის საგნისათვის. ქალაქის გამგეობა იუწყება რა ამას, სთხოვს შემომწირველთა თავიანთი შეწირულებანი ჩააბარონ გამგეობის მორიგს წევრს ყოველ დღე, დილის ათ საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდე.


წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | მან. კაპ. „ 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა | „ 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ 40 |

მომავალ დღესასწაულებისათვის ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და სხვა ვენახებისა: თუნგი 1 მანეთიდგან ვიდრე 4 მანეთამდე და ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მან. 50 კაპეიკამდე.

სარდაფი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, წინამძღვაროვის შენობაში, № 1.

(5—3) ს. ი. კურდღელოვი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

DEUXIÈME ANNÉE **REVUE** DEUXIÈME ANNÉE

COMMERCIALE ET INDUSTRIELLE

**DU CAUCASE**

RÉDIGÉE EN LANGUE FRANÇAISE ET RUSSE

ET PARAISSANT A TIFLIS LE 1er ET LE 15 DE CHAQUE MOIS

**Directeur : J. MOURIER**

PRIX DE L'ABONNEMENT : Six Mois, 7 fr. 50 (3 roubles); Un An, 15 fr. (6 r.)

იაფად გასყიდვა საქონლისა

მხოლოდ ახალ-წლამდე

ცენტრალურს საგალანტერეინო მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სახლი ზუბალოვისა, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეინო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: ლამპრები, ფარნები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ჭურჭელი, სუფრის სამკაული და ნავთით საჭმლის მოსახარშავი, აგრეთვე საცვალი, ფუფეიკები, ჩულქები, ხელსახოცები, სუფრები, სალფეტკები, ფეხთ-საცმელი, შლიაპები, კორსეტები, კასინკები, ქერსეები და სხვანი. ბევრია აგრეთვე ყმაწვილების სათამაშოები, თოჯები და ალბომები. (11—7)


Дов. ценз. Тифлисъ 24-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე